ოქმი #17

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 08 ნოემბერი, 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, დ. მუშკუდიანი, გ. გოგებაშვილი, ნ. ბურჯალიანი, ე. საღინაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე.

საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის ფუნქციების შემსრულებელი: თ. ონიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ .

/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

განკარგულება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ .

/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა, სხდომის წევრებს მიესალმა და დღის წესრიგი წარმოადგინა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ჭაბუკი ჭაბუკიანმა.

ბატონმა ჭაბუკიმ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს ბიუროს მიმდინარე წლის 07 ნოემბერს წერილობით მომართა (ფრაქციის ოქმი 11) ცაგერის მუნიცუპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქრთული ოცნება-დემოკრატიული საქრთველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ ელენე საღინაძემ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობიდან პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს წევრის კარლო მუშკუდიანის გასვლის შესახებ.

ასევე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თამაზი ჭაბუკიანმა საკრებულოს ბიუროს აცნობა, რომ საკრებულოს თანამდებობაზე წარდგენილ პირს, ფრაქციიდან გასვლის შესახებ განცხადების, ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან უწყდება

როგორც კომისიის წევრის უფლებამოსილება, ასევე თანამდებობაზე საქმიანობის უფლებამოსილება. კარლო მუშკუდიანის ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-დან გასვლის შესახებ განცხადება ბიურომ ცნობად მიიღო 2022 წლის 7 ნოემბერს ბიუროს სხდომაზე. შესაბამისად მას შეუწყდა საკრებულოს ,,საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის წევრის უფლებამოსილება და თავმჯდომარის უფლებამოსილება.

2022 წლის 07 ნოემბერს საკრებულოს ბიუროს განცხადებით მიმართა ასევე საკრებულოს წევრმა კარლო მუშკუდიანმა, სადაც აღნიშნავს, რომ სურვილი აქვს გაწევრიანდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში, აღნიშნული ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიურომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მიიღო ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ჭაბუკი ჭაბუკიანმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკრებულოს მიმდინარე (2022 წლის 8 ნოემბრის რიგგარეშე სხდომა) სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად ფარული კენჭისყრით აირჩევა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. შესაბამისად საკრებულოს წევრებმა და საკრებულოს ფრაქციებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლიათ წარმოადგინონ კანდიდატურა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად.
საკრებულოს წევრების ერთმა მეხუთედმა განცხადებით მიმართა საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინა ბატონი კარლო მუშკუდიანის კანდიდატურა.
სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის 16 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (რეგლამენტის) 102-ე მუხლის შესაბამისად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად მოეწყო ფარული კენჭისყრა, კენჭისყრის უზრუნველყოფა მოახდინა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ.
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული იქნა საკრებულოს წევრი ბატონი კარლო მუშკუდიანი.

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 16 დეპუტატი/

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 16
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი